შპს „იმედი-8“

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს

(თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა სიმონეთის ტერიტორია)

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი“
დირექტორი.: თ.კეპულაძე
მობ.: 591 15 72 72

შპს „იმედი-8“
დირექტორი: ი. კუბლაშვილი
მობ.: 5 99 93 94 63

თერჯოლა 2021

შინაარსი

1. შესავალი 3

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა 4

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი 14

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი. 14

5. წყალმომარაგება წყალარინება 22

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 25

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება 25

6.2. ხმაურის ზემოქმედება 33

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე 34

6.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე 36

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები 37

6.6. ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე 38

6.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 38

6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 41

6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 41

6.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე 41

6.11. ავარიული რისკები 42

6.12. კუმულაციური ზემოქმედება 43

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 44

დანართი 1. ამონა წერები საჯარო რეესტრიდან. 45

1. შესავალი

შპს „იმედი-8“-მ (ს/კ431952853), 2020 წლის თებერვალში შპს „ჩოლაბურიდან“ (ს/კ 231945296) შეიძინა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთები (ნაკვეთი 33.05.37.004 და ნაკვეთი 33.05.37.022) და ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი საწარმო. საწარმო განთავსებული იყო ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 33.05.37.004. საწარმო ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო. ამიტომ მიღებული იქნა მისი დემონტაჟისა და 33.05.37.022 ნაკვეთზე მოწყობის გადაწყვეტილება.

2021 წლის აპრილში შპს „იმედი-8“-მ შეიძინა მიმდებარედ არსებული ნაკვეთები: 33.05.37.371; 33.05.37.372 და 33.05.37.373.

აღნიშნული ტიპის ობიექტი შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტიში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ იმედი-8“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთი
საქმიანობის განხორციელების მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთი
საქმიანობის სახე	ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო
დირექტორი	ირაკლი კუბლაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 93 94 63
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 15 72 72
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთი
განთავსების ადგილი	შპს „იმედი-8“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთები (საკ. კოდები 33.05.37.004 და 33.05.37.022)
საპროექტო წარმადობა	100 000მ^3 ქვიშა-ღორღი
მეთოდი	სველი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8სთ
გამოყენებული რესურსები	
ქვიშა-ხრეში	მოპოვებული ლიცენზირებული კარიერებიდან
ტექნიკური წყალი	მდ. ყვირილადან
დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან	800მ.

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, შპს „იმედი-8“-მ (ს/კ 431952853), 2020 წლის თებერვალში შპს „ჩოლაბურისაგან“ (ს/კ 231945296) შეიძინა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთები (ნაკვეთი 33.05.37.004; ფართობი 1 900მ^2 და ნაკვეთი 33.05.37.022; ფართობი 2 468მ^2) (ნახაზი1) და 33.05.37.004 ნაკვეთზე არსებული ქვიშახრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი საწარმო. საწარმო ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო. ამიტომ მიღებული იქნა მისი დემონტაჟისა და 33.05.37.022 ნაკვეთზე გადატანის გადაწყვეტილება.

2021 წლის აპრილში შპს „იმედი-8“-მ აუქციონზე შეიძინა მიმდებარედ არსებული ნაკვეთები: 33.05.37.371; 33.05.37.372 და 33.05.37.373.

ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 33.05.37.371 განთავსებულია 95 მ^2 ფართობის ნაგებობები, რომლებიც გამოყენებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულებითა და სპეცტექნიკის საწვავით გამართვისთვის საჭირო პუნქტით, 20მ^3 ტევადობის დიზელის ავზით.

33.05.37.004 და 33.05.37.373 ნაკვეთები გამოყენებული იქნება ნედლეულის დასაწყობებისათვის. იმავე ნაკვეთზე მოწყობილია ჭა (X-320921; Y-4674781).

ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია №1 ნახაზზე და №2 ცხრილში.



ნახაზი 1.ნაკვეთების გეგმა და წვეროთა ნუმერაცია.

ცხრილი 2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის წვეროთა კოორდინატები

ნაკვეთის კოდი	წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
		X	X
33.05.37.372	1	320753	4674853
	2	320729	4674780
	3	320747	4674780
	4	320766	4674778
	5	320778	4674773
	6	320787	4674772
	7	320801	4674773
	8	320812	4674775
	9	320832	4674786
	10	320841	4674788
	11	320850	4674793
	12	320866	4674812
	13	320843	4674820
	14	320813	4674794
	15	320752	4674816
	16	320772	4674853
33.05.37.02	13	320843	4674820
	14	320813	4674794
	15	320752	4674816
	16	320772	4674853
33.05.37.373	1	320862	4674782
	2	320864	4674772
	3	320903	4674707
	4	320950	4674773
	5	320881	4674810
	6	320862	4674882
33.05.37.004	6	320862	4674882
	7	320938	4674771
	8	320930	4674751
	9	320878	4674757
33.05.37.371	1	320883	4674843
	2	320885	4674860
	3	320898	4674884
	4	320914	4674900
	5	320942	4674884
	6	320982	4674884
	7	320980	4674872
	8	320939	4674857
	9	320903	4674838



ნახაზი 2. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა.

საპროექტო ტერიტორიები განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა სიმონეთში, მდინარე ყვირილასა (სამხრეთით) და E 60 ავტომაგისტრალს (ჩრდილოეთით) შორის (ნახაზი 2). მდინარე ყვირილამდე უახლოესი მანძილი შეადგენს 50 მ-ს, E60 ავტობანის მონაკვეთამდე-260მ; უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს ჩრდილოეთით. უახლოესი საცხოვრებელ სახლამდე მანძილი 800მ-ა. საპროექტო ტერიტორიებიდან აღმოსავლეთით 70 მ-ს და ჩრდილო-დასავლეთით 260 მ-ს დაშორებით მდებარეობს №41652 და №41658 ტყის კონტურები (ნახაზი 3).

ნახაზი 3. ტყის კონტურები

საპროექტო ტერიტორიების (33.05.37.022 ; 33.05.37.372; 33.05.37.004 ; 33.05.37.373 და 33.05.37.371) მიმდებარედ განთავსებული ნაკვეთების საკადასტრო კოდები და მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი №3-ში, ხოლო განთავსება ნახაზზე №4.



ნახაზი4.

ცხრილი N3

№ ნახაზზე	ნაკვეთის კოდი	მფლობელი	დატვირთვა	შენიშვნა
1	33.05.37.022	იმედი-8	საპროექტო	-
2	33.05.37.004	იმედი-8	საპროექტო	-
3	33.05.37.373	იმედი-8	არასასოფლო სამეურნეო	სურათი 1
4	33.05.37.372	იმედი-8	არასასოფლო სამეურნეო	სურათი2
5	33.05.37.371	იმედი-8	განთავსებულია კაპიტალური სათავსო	სურათი3
6	33.05.37.355	სახელმწიფო	სასოფლო სამეურნეო	სურათი4
7	33.05.37.196	ჯოჯიან მანგანეზი	უფუნქციო	სურათი5
8	00.41.41658	სახელმწიფო	ტყის კონტური	სურათი6
9	200.41.41652	სახელმწიფო	ტყის კონტური	სურათი7
10	---	სახელმწიფო და კერძო საკუთრების ნაკვეთები	დაფარულია ერთი და მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებით, მაყვლისა და ეკალღიჭის ბუჩქებით და ერთეული *გლედიჩიას* (ლათ. Gleditsia) და ჭადრის ხეებით	სურათი8

სურათი1. ნაკვეთი 33.05.37.373

სურათი2. ნაკვეთი33.05.37.372

სურათი 3. ნაკვეთი 33.05.37.371;

სურათი4. ნაკვეთი33.05.37.355

სურათი 5. ნაკვეთი 33.05.37.196

სურათი 6. ტყის კონტური 200.41.41658

სურათი 7. ტყის კონტური 200.41.41652

სურათი 8. სახელმწიფო და კერძო ნაკვეთები

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 50 $მ^3$-ს (90ტ). მსხვრევის პროცესის ხანგრძლიობა დღე-ღამეში შეადგენს საშუალოდ 8 საათს. სამუშაო დღეთა რაოდენობა შეადგენს 250-ს წელიწადში. ამ პარამეტრების მიხედვით წლის განმავლობაში გადამუშავდება 100 000 $მ^3$ (180 000 ტ) ქვიშა-ხრეში.

გამოყენებული ნედლეულის ფრაქციული შემადგენლობის გათვალისწინებით, მიღებული პროდუქციის რაოდენობა 95-98% იქნება.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 20 კაცს, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 5 დღიანი სამუშაო კვირით და 8 საათიანი სამუშაო დღით.

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.

საწარმო ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო. ამიტომ მიღებული იქნა მისი დემონტაჟისა და 33.05.37.022 ნაკვეთზე მოწყობის გადაწყვეტილება.
დემონტაჟი დასრულებულია (სურათი 9) და ხორციელდება ახალი ხაზის მოწყობის სამუშაოები. დამონტაჟებულია ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები (სურათები 10-14) და მიმდინარეობს მათი გამართვის სამუშაოები.

სურათი 9. ნაკვეთი 33.05.37.004 სამსხვრევი ხაზის დემონტაჟის შემდეგ.

სურათი 10.

სურათი 11.

სურათი 12.

სურათი 13.

სურათი 14.

ინერტული მასალის მსხვრევა-დახარისხების საწარმოს საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულა ნახაზზე 5.

საწარმოს ტერიტორიაზე იფუნქციონირებს ქვიშახრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი.

იგი მოიცავს ორ ყბებიან და ორ როტორულ მსხვრევანებს, ორ კლასიფიკატორს, ნედლეულისა და პროდუქციის ბაქნებს. აღნიშნული მოწყობილობები დაკავშირებული არიან ლენტური ტრანსპორტიორით. მსხვრევის პროცესი სველია. წყალაღება მოხდება მდ. ყვირილადან. გათვალისწინებულია სამსაფეხურიანი სალექარის (16) მოწყობა (თითოეულის ზომებია 5x15x4მ). ტექნოლოგიურ პროცესში მოხმარებული წყლის რაოდენობა შეადგენს 150 $მ^3$/სთ. გამოყენებული წყალი სალექარების გავლის შემდეგ ჩაედინება მდ. ყვირილაში.
ნედლეული შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და დასაწყობდება ნედლეულის ბაქნებზე (1), საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით იყრება მიმღებ ბუნკერში (3). მიმღები ბუნკერიდან ტრანსპორტიორით მიეწოდება ყბებიან სამსხვრევალას (5). დამსხვრეული მასა გადადის ვიბროცხავზე (6), საიდანაც 0-5 ფრაქცია მიეწოდება კლასიფიკატორს (7). გარეცხილი მასა ტრანსპორტიორით განთავსდება ბაქანზე (8). ვიბროცხავიდან ნაწილობრივ დამსხვრეული მასა მიეწოდება მეორე ყბებიან მსხვრევანას (9), აქედან კი როტორულ მსხვრევანას (10).როტორული მსხვრევანადან მასა მიეწოდება მეორე ცხავს (11). 0-5 ფრაქცია ბრუნდება კლასიფიკატორში (7). ვიბროცხავიდან 5-10; 10-20 და 20-40 ფრაქციები ტრანსპორტიორის მეშვეობით განთავსდება ბაქნებზე (12; 13 და 14). საჭიროების შემთხვევაში 20-40 ფრაქცია მიეწოდება როტორულ მსხვრევანას (15). 40-ზე მსხვილი მასა მიეწოდება ყბებიან მსხვრევანას (8). პროდუქციის დასაწყობებისათვის გათვალისწინებულია ბაქანი (16).

ამჟამად ძველი საწარმოს დემონტაჟი დასრულებულია, მიმდინარეობს ახალ ადგილზე მონტაჟი. მოწყობილია ტექნოლოგიური დანადგარების ბეტონის საყრდენი.

საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოყენებული იქნება არსებული ერთსართულიანი შენობა (სურათი N15), რომელიც განთავსებულია ნაკვეთზე საკ. კოდით 33.05.07.371.

იგივე ტერიტორიაზე დახურულ, კაპიტალურ სათავსოში მოეწყობა 20 m^3 ტევადობის დიზელის ოთხკუთხა ავზი (2) სპეცტექნიკის საწვავით გამართვისთვის (სურათი N16).

სურათი N15.

სურათი N16.

ამჟამად ძველი საწარმოს დემონტაჟი დასრულებულია, მიმდინარეობს ახალ ადგილზე მონტაჟი. მოწყობილია ტექნოლოგიური დანადგარების ბეტონის საყრდენები, დამონტაჟებულია სამსხვვრევები და საჭირო ლითონის კონსტრუქციები.
ობიექტის გასამართად საჭიროა ტრანსპორტიორის ლენტების (სურათი N17) აწყობა, ვიბრაციული ცხრილების ცხაურების დაყენება (სურათი 18), კლასიფიკატორის გამართვა (სპირალის ჩამონტჟება) (სურათი 19), დანადგარებზე ძრავების დაყენება და ხაზის გამართვა (დატესტვა).

სურათი N17.

სურათი N18. ვიბროცხავებზე დასაყენებელი ცხაურები.

სურათი N19. კლასიფიკატორზე დასამონტაჟებელი სპირალი

ექსპლიკაცია

1. ნედლეულის ბაქნები;
2. დიზელის ავზი;
3. პანდუსი;
4. მიმღები ბუნკერი;
5. ყბებიანი სამსხვრეველა;
6. ვიბროცხავი;
7. კლასიფიკატორი;
8. ბაქანი;
9. ყბებიანი მსხვრევანა;
10. როტორული მსხვრევანა;
11. ცხავი;
12. 5-10 ფრაქციის ბაქანი;
13. 10-20 ფრაქციის ბაქანი;
14. 20-40 ფრაქციის ბაქანი;
15. როტორული მსხვრევანა;
16. პროდუქციის ბაქანი;
17. საყოფაცხოვრებო სათავსო;
18. სალექარი.



ნახაზი N5. გენ-გეგმა

5. წყალმომარაგება წყალარინება

საწარმოში წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის, სასმელი წყლის შესყიდვა მოხდება უახლოესი მარკეტებიდან, ხოლო სამეურნეო წყლის მოპოვება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე.

სამეურნეო - საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 33.05.37.373) მოწყობილი აქვს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა (X-320921; Y-4674781), რომელზედაც ლიცენზიის მისაღებად შეტანილია განაცხადი წიაღის ეროვნულ სააგენტოში.

მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 33.05.37.371) მოწყობილია საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო, სველი წერტილებით. რადგან მუშაობის რეჟიმი ერთცვლიანია (ცივი საამქრო), ს.წ.ნ.-ის შესაბამისად ერთ კაცზე საშუალოდ საჭიროა დღეში 25 ლ. წყალი. შესაბამისად დღის განმავლობაში საყოფაცხოვრებო მიზისათვის საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს:

$$20 \times 25 \times 10^{-3} = 0{,}5 \text{ მ}^3.$$

წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება: $0{,}5 \times 250 = 125$ მ^3.

საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ყვირილადან, შემდეგ კოორდინატზე X-320837 Y-4674712 მოწყობილი წყალმიმღები გუბურით. სატუმბი სადგური და გუბურა მოწყობილია წლების წინ, წყალმიმღების დატბორვისაგან დაცვის მიზნით გუბურასა და მდ. ყვირილას აქტიურ კალაპოტს შორის მოწყობილია 1 მ სიგანის ყრილი (სურათი 20).

სურათი 20. წყალმიმღები გუბურა.

სატუმბი სადგურისა და საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე წლების წინ განთავსებული იყო ქვიშა-ხრეშის კარიერი და სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, წყალმიმღები მოწყობილია იმ პერიოდიდან. ამჟამად ტერიტორია დარეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში (საკ. კოდი 33.05.37.355), თუმცა ფაქტიურად მისი სამხრეთ ნაწილი წარმოადგენს მდ. ყვირილას კალაპოტს (სურათი N21).

სურათი 21. 33.05.37.355 მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილი.

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისა და ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად 1მ^3 ინერტული მასალის გადამუშავებას (პირველადი და მეორადი რეცხვა) დასჭირდება 3მ^3-მდე ტექნიკური წყალი. შესაბამისად საწარმოს სათში დასჭირდება 150მ^3, დღეში 1 200მ^3, ხოლო წელიწადში 300 000მ^3 წყალი.

საწარმოში წარმოიქმნება სამეურნე-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლები.

რადგან საწარმოს განტავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურეობაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი სამსახურების მიერ.

ტექნოლოგიაში გამოყენებული წყალი შეიკრიბება სპეციალური ღარებით, მიეწოდება კლასიფიკატორებს წვრილმარცვლოვანი ქვიშის გამოსაცლელად, კლასიფიკატორებიდან მიეწოდება ჰოროზონტალურ სალექარს.

აღნიშნული წყალშემკრები სისტემითა და არხებით შეიკრიბება საწარმოო მოედნიდან ატმოსფერული ნალექების წყლები და მიეწოდება სალექარში.

ჩამდინარე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია შეწონილი ნაწილაკებით (ქვიშის მცირე ზომის ნაწილაკები), ამიტომ წყლის გაწმენდა მოხდება მექანიკური, დალექვის მეთოდით.

როგორც აღინიშნა, ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეიკრიბება შემკრები ღარებით და მიეწოდება ჰორიზონტალურ სალექარს. დაგეგმილია სამსაფეხურიანი

ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა, თითოეული განყოფილების ზომები იქნება: 15 × 5 × 4, თოთოეული განყოფილების მოცულობა 300$მ^3$. ხოლო საერთო მოცულობა 900$მ^3$. მუშა მოცულობა 500$მ^3$.

საპროექტო წარმადობის შესაბამისად ჩამდინარე წყლის საათური ხარჯი შეადგენს 135 (150×90%) $მ^3$. დალექვის დრო სამ საათზე მეტია, რაც უზრუნველყოფს შეწონილი ნაწილაკების 95-98 %-ის დალექვას. დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის გათვალისწინებით, ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ-ს,

გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ყვირილაში შემდეგ საორიენტაციო კოორდინატზე X-320657, Y-4674676, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

საწარმოს წყალმომარაგება-წყალარინების სქემა დატანილია ნახაზზე N6.

ნახაზი 6. წყალმომარაგება-წყალარინების სქემა.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (800მ) და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი წარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვერის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილებზე, ასევე გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO_2-ის 20% -მდე შემცველობით.

მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების მეთოდური მითითების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის სხვა მასალების შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავის და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას.

ზემოაღნიშნულია გათვალისწინებით მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს (ნახაზი 7):

- ნედლეულის განთავსება პოლიგონზე (გ-1 წყარო);
- გაფრქვევა ნედლეულის პოლიგონიდან (გ-2 წყარო);
- ნედლეულის მკვებავის ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო);
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა (გ-4 წყარო);
- ყბებიანი მსხვრევანა (გ-5 წყარო);
- ყბებიანი მსხვრევანა (გ-6 წყარო);
- როტორული მსხვრევანა (გ- 7 წყარო);
- როტორული მსხვრევანა (გ- 8 წყარო);
- ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილება (გ-9 წყარო)
- გაფრქვევა ღორღის ბაქნებიდან (გ-10, გ-11 და გ-12 წყაროები);
- პროდუქციის დასაწყობება (გ-13 წყარო);
- გაფრქვევა პროდუქციის დასაწყობების ადგილიდან (გ-14 წყარო);
- გაფრქვევა დიზელის სამარაგო რეზერვუარიდან (გ-15 წყარო).

ნახაზი N7


2
17
ბ-15
15
14
16
10
9
5
ბ-12
ბ-8
ბ-7
ბ-6
ბ-5
4
ბ-14
ბ-11
ბ-9
3
ბ-13
13
ბ-4
ბ-3
11
6
12
ბ-10
7
8
ბ-1
ბ-2
1

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა საანგარიშო მეთოდიკების გამოყენებით. ანგარიში შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი - 0,4.

საწარმოს ბიზნესგეგმის მიხედვით ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი ხაზის ფუნქციონირებისას წლის განმავლობაში სამუშაო დღეთა რაოდნობაა 250; სამუშაო საათების რაოდნობა წელიწადში 2 000სთ; წლის განმავლობაში ნავარაუდებია 100 000 $მ^3$/წელ (180 000 ტ) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევა.

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ბაქანზე განთავსებისას(გ-1 წყარო)**

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}, (1)$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ_ზე მეტის შმთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შმთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეიციენტია;

G - წარმადობაა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიცინტების მნიშვნელობები შემდეგია:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,1 ; B – 0,5 ; G – 90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 1,0x 0,01x 0,4x 0,1x0,5 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0,0036გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,0036 x2000x 3600 /10^6=0,0259ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის პოლიგონიდან(გ-2 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 2. ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ}; \qquad (2)$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ^{2}წმ;

f =500 მ^2 - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 500 x 0,4= 0,0374 გრ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,0374 x 8640 x 3600/10^6 = 1,1633 ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ბუნკერში მიწოდებისას (გ-3 წყარო)**

გაფრქვევის გაანგარიშება ხდება (1) ფორმულით საანგარიშო კოეფიცინტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 0,1 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 0,2 ; B – 0,5 ; G – 90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 0,1x 0,01x 0,4x 0,2x0,5 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0,0007გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,0007 x 2000x 3600 /10^6=0,005 ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვისას (გ-4 წყარო)**

საანგარიშო კოეფიცინტების მნიშვნელობები შემდეგია:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,0 ; K_4 – 0,2; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 –1 ; B – 0,4 ; G –90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით (5.1)გამოსახულებაში მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,0 x 0,2x 0,01x 0,4x 1,0 x 0,4 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0.0048 გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,0048x 2000 x 3600 /10^6=0.0346ტ/წელ

- **გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ-5 წყარო).**

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი მიხედვით 1ტონა მშრალი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,14 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2000 საათს და მსხვრევას განიცდის გატარებული მასის დაახლოებით 70%, ანუ 126000ტ მასა, მივიღებთ:

G=126 000x0,14 x 0,4/10^3=7,056 ტ/წელ

M=7,056x10^6/2000x3600=0.98 გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ-6 წყარო).**

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტონა სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2000 საათს და მსხვრევას განიცდის გატარებული მასის დაახლოებით 70%, ანუ 126000ტ მასა, მივიღებთ:

G=126 000x0,009 x 0,4/10^3=0,4536 ტ/წელ

M=0,4536x10^6/2000x3600=0.063 გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრეველადან (გ-7 წყარო)**

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტონა სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ,რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 2000 საათს და მსხვრევას განიცდის გატარებული მასის დაახლოებით 70%, ანუ 126000ტ მასა, მივიღებთ:

G=126 000x0,009 x 0,4/10^3=0,4536 ტ/წელ

M=0,4536x10^6/2000x3600=0.063 გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრეველადან (გ-8 წყარო)**

მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტონა სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ; იმის გავითვალისწინებთ,რომ წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს

2000 საათს და მსხვრევას განიცდის გატარებული მასის დაახლოებით 10%, ანუ 18 000ტ მასა, მივიღებთ:

$G=18\ 000x0,009\ x\ 0,4/10^3=0,0648$ ტ/წელ

$M=0,0648x10^6/2000x3600=0.009$ გ/წმ;

- **გაფრქვევის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილებისას (გ– 9 წყარო).**

გაანგარიშება განხორციელდა იმ 5 ცალი ლენტური ტრანსპორტიორის ერთდროული მუშაობისას,რომლებზეც ხვდება ნაკლებ დატენიანებული მასა.

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{მტვ.} = W\ x\ K.\ x\ \ B\ x\ L\ x\ 10^3 \quad \text{გ/წმ}; \qquad (5.4.)$$

სადაც,

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია $3x\ 10^{-5}$ კგ/მ²წმ;

K _ ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტია და ტოლია 0,1 მ–ის;

B _ ლენტის სიგანეა და ტოლია 0.6მ–ის;

L _ ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 50 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვ}= 3\ x\ 10^{-5}\ x\ 0,1\ x\ 0,6\ x\ 50\ x\ 10^3\ x\ 0,4=0,036$ გ/წმ

$G_{მტვ}=0,036\ x\ 2000\ x\ 3600/10^6 =0,2592$ ტ/წელ;

- **გაფრქვევა ღორღის ბაქნებიდან (გ-10,გ-11 და გ-12 წყაროებიდან)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (2). ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3\ x\ K_5\ x\ K_6\ x\ K_7\ x\ q\ x\ f \quad \text{გ/წმ}; \qquad (5.2)$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ²წმ;

f = 500 მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 500 x 0,4= 0,0374 გ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,374 x 2000 x 3600/10^6 = 0,2693 ტ/წელ

ანალოგიური იქნება გ-11 და გ-12 წყაროებისთვისაც.

- **გაფრქვევა პროდუქციის დასაწყობების ბაქანზე განთავსებისას (გ-13 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 5.1. ფორმულის მიხედვით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

K_1- 0,05 ; K_2 – 0,03 ; K_3 – 1,2 ; K_4 – 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 – 0,4 ; K_9 – 1,0 ; B – 0,5 ; G – 90 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$M_{მტვრ}$= 0,05x 0,03 x 1,2 x 1,0x 0,01x 0,4x 1,0x0,5 x 90 x 10^6 x 0,4/ 3600=0,036 გ/წმ

$G_{მტვრ}$=0,036 x2000x 3600 /10^6=0,2592 ტ/წელ

- **გაფრქვევა პროდუქციის დასაწყობების ბაქნიდან (გ-14 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 5.2. ფორმულის მიხედვით

$$M_{მტვრ} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ}; \qquad (5.2)$$

სადაც

K_3 =1,2 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი:

K_5 = 0,1 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K_6 =1,3 - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3–დან 1,6–მდე;

K_7 =0,6 გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q = 0,002 - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 კვ.მ. ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ²წმ;

f = 1000 მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობია.

ამ მონაცემების მიხედვით გვექნება

$M_{მტვრ}$ = 1,2 x 0,1x 1,3 x 0,6x 0,002 x 1000 x 0,4= 0,0749 გ/წმ

$G_{მტვრ.}$ = 0,0749 x 2000 x 3600/10^6 = 0,5393ტ/წელ

- **გაფრქვევა დიზელის სამარაგო რეზერვუარიდან (გ-15 წყარო)**

ავტოგასამართი სვეტის ფუნქციონირებისას საწვავის მიღება-შენახვა-გაცემის დროს მავნე ნივთიერებათა რაოდენობა 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე შეადგენს 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად);

წელიწადში 120 000ლ დიზელის მიღება-შენახვა- გაცემისას

$$G = 120\,000 \times 0{,}0025/10^6 = 0{,}0003 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0{,}0003 \times 10^6/250 \times 8 \times 3\,600 = 0{,}00004 \text{ გ/წმ}$$

სულ ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილი მტვრის წამური ინტენსიობა იქნება 1,4206გ/წმ და წლიური რაოდენობა - 11,1224ტ/წ; ხოლო ნახშირწყალბადების წამური ინტენსიობა იქნება 0,00004გ/წმ და წლიური რაოდენობა - 0,0003ტ/წ

ანგარიშიდან ჩანს, რომ დღის განმავლობაში მოსალოდნელია საშუალოდ 44 კგ. მტვერის წარმოქმნა, რომელმაც არ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას 880 მ-ით დაშორებულ საცხოვრებელ სახლთან. ამასთან საწარმო განთავსებულია ჰიფსომეტრულად 35მ-ით დაბალ ნიშნულზე (ნახაზი N8), რაც ასევე მინიმუმამდე ამცირებს მტვრის ნაწილაკების გადაადგილებას დასახლებულ პუნქტამდე. საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საწარმოს ჩრდილოეთით, ტერიტორიის მეტეოროლოგიური მახასიათებლების თანახმად, გაბატონებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულების ქარები (ნახაზი N9).



ნახაზი 8.



ნახაზი N9.

6.2. ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი და ვიბროცხავიები. ლიტერატურული წყაროების მიხედვით სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონე აღწევს 95 დბა-ს. უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ობიექტიდან დაშორებულია 800 მ-ით. საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 35 დბა-ს. თუ ჩავთვლით, რომ საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის ხმაურის სხვა წყარო არ არსებობს, 800 მ-თ დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით:

$$L = Lp - 15\lg r + 10\lg \Phi - \beta r/1000 - 10\lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

Lp – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 95 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: Ω = 4π-სივრცეში განთავსებისას; Ω = 2π - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; Ω = π - ორ წიბოიან კუთხეში; Ω = π /2 – სამ წიბოიან კუთხეში;

β– ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

L=95-15lg880+10 lg2–10,5x800/1000-10 lg12,56 =95-15 x 2,944+10x0,3-10,5 x0,88-10 x1,099=33,69 დბა

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს.
